

№ 5 თბილისი მარტი 1960

ცისარტყელა

გამოცემის XXXVIII წელი. ფასი 2 მან.

დიად შვიდწლედის გეგმებს ახრულებს,
გმირულ შრომაში ხიხარულს ხედავს.
სახლში შვილები ეგებებიან,
წარმოების გმირს, ხაუკარელ დედას.

ნახ. ჯ. ლოლუასი

ნახ. ჯ. ლოლუასი

ნახ. ე. ბერძენიშვილისა

— დღესასწაულს გილოცავთ, თამარ, მანდ ველარ ამოვალ და თაიგულს სახლში მოგართმევ!



ბეჭდილებას ტოვებს, მოპერანგებულია თლილი ქვით, მაგრამ, რამდენადაც გარედან შესანიშნავია, იმდენად შიგნით საშინელი. უნდა ითქვას, რომ ქუთაისში მოქალაქეებს ქუჩაში და შენობებს შიგნით გადაფურთხების, პაპიროსის ნამწვავის, ცარიელი კოლოფების გადაყრის სრული თავისუფლება აქვთ მინიჭებული. სასტუმროს ნომრებში არ მოდის წყალი, ონკანები მოშლილია, აბაზანაში წარმოუდგენელი სიბინძურეა, ავეჯი ძველი, უგემოვნო და დანჯღრეული.

მეორე დღეს მოვისურვეთ ქალაქში ფეხით გასეირნება. ჯაჭვის ხიდიდან გადავხედეთ რიონის კალაპოტს. მას შემდეგ რაც აქ მდინარე აღარ მოედინება, ეტყობა მოუსურვებიათ მდინარის კალაპოტის საკანალიზაციო სიბინძურით და ნაგვით ამოვსება. ამას ხელს უშლის ერთი გარემოება. წელიწადში ერთხელ, თოვლის დნობის დროს, რიონი დიდდება და ამ სიბინძურის ნაწილი თან ჟანგიანი კოლოფებით, ძველი ფეხსაცმელების ნაფლეთებით, ბინძური ქაღალდის გროვებით და ყოველივე ეს უხვადაა მორწყული საკანალიზაციო მილებიდან გამომდინარე მღვრიე წყაროებით. აბსტრაქციონისტი მხატვრებისათვის მდინარის ეს კალაპოტი და ქუჩის ტროტუარები შემოქმედების დაუშრეტელი წყაროა. ისინი აქ დახატავდნენ ისეთ აბსტრაქტულ სურათებს, რომლებიც მსფლიოს გააკვირვებდა თავისი უხამსობით და, ამავე დროს, მოხდებოდა პარადოქსალური საკვირველება. ეს სურათები იქნებოდნენ აბსოლუტურად რეალისტური ნაწარმოებები.

უცნობი ჟურნალისტის ჩანაწერებიდან

შემთხვევით ხელში ჩავვივარდა უბის წიგნაკი ერთი უცნობი ჟურნალისტისა, რომელსაც საქართველოში უმოგზაურია და ყველაფერი, რაც უნახავს, უცვლელად ჩაუწერია წიგნაკში. ჩვენ გვაინტერესებს რამდენად შეეფერება მის მიერ ჩაწერილი ფაქტები სინამდვილეს. ამიტომ პერიოდულად გამოვაქვეყნებთ ამ ჩანაწერებს იმის შესამოწმებლად, მართალს წერს ეს ჟურნალისტი თუ ტყუილების გუდას ბერავს. ამჟამად ვაქვეყნებთ ჩანაწერებს ქუთაისის შესახებ. იმედი გვაქვს, ქალაქის მესვეურები ურყევ საბუთებით გააქარწყლებენ ჟურნალისტის იმ ზოგიერთ ფაქტს, რომლებიც სინამდვილეს არ შეფერებიან.

აი რასა წერს იგი:

„გუშინ ჩამოვედით ქ. ქუთაისში, საქართველოს მეორე სამრეწველო ცენტრში. მატარებელი აქ საღამოს ჩადის. სადგურიდან მოედანზე რომ გავედით, ჩვენს თვალწინ მართლაც და მომჯადოებელი სურათი გადაიშალა. ლამპიონებით გაჩირაღდნებული მოედანი გადაჰყურებდა ქალაქს, სწორი ქუჩების გასწვრივ ჩამწკრივებული ელექტროლამპიონები ალმასისა და მარგალიტის მძივებად ბრწყინავდნენ. ასფალტით დაგებული ქუჩები, მშვენიერი სახლები და უფრო მშვენიერი ხალხი... იმავე საღამოს მიგვიწვიეს ბანკეტზე და უხვად გავიმასპინძლდნენ.

ქალაქს ერთადერთი სასტუმრო აქვს. და იქ დაგვაბინავეს. უნდა ითქვას, რომ იგი გარედან შესანიშნავ შთაბეჭდილებას ტოვებს, მოპერანგებულია თლილი ქვით, მაგრამ, რამდენადაც გარედან შესანიშნავია, იმდენად შიგნით საშინელი. უნდა ითქვას, რომ ქუთაისში მოქალაქეებს ქუჩაში და შენობებს შიგნით გადაფურთხების, პაპიროსის ნამწვავის, ცარიელი კოლოფების გადაყრის სრული თავისუფლება აქვთ მინიჭებული. სასტუმროს ნომრებში არ მოდის წყალი, ონკანები მოშლილია, აბაზანაში წარმოუდგენელი სიბინძურეა, ავეჯი ძველი, უგემოვნო და დანჯღრეული.

მეორე დღეს მოვისურვეთ ქალაქში ფეხით გასეირნება. ჯაჭვის ხიდიდან გადავხედეთ რიონის კალაპოტს. მას შემდეგ რაც აქ მდინარე აღარ მოედინება, ეტყობა მოუსურვებიათ მდინარის კალაპოტის საკანალიზაციო სიბინძურით და ნაგვით ამოვსება. ამას ხელს უშლის ერთი გარემოება. წელიწადში ერთხელ, თოვლის დნობის დროს, რიონი დიდდება და ამ სიბინძურის ნაწილი თან

ამბობენ, რომ, თურმე, ქუთაისშიაც არსებობს სანიტარული ინსპექცია, მაგრამ იქ მომუშავე ექიმებს, როგორც ეტყობა, ელემენტარული წარმოდგენა არა აქვთ როგორ უნდა დაამყარონ ქალაქში სანიტარული წესრიგი“.

ვბეჭდავთ რა ამ ამონაწერს, „ნიანგის“ რედაქცია იმედოვნებს, ქუთაისის მესვეურები გვაცნობებენ რომ უცნობი ჟურნალისტის მიერ აღწერილი სურათი სინამდვილეს არ შეეფერება და მიიწვევენ „ნიანგის“ ფოტოკორესპონდენტს, რათა დოკუმენტალურად დავამტკიცოთ როგორ არაობიექტურობას იჩენს ჟურნალისტი ჩვენი სავარდო და სამაისო ქუთაისის აღწერის დროს.

აკ. ბელიაშვილი

მეგობრული შარჟი
გ. ფიოცხალავანი
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეპიგრამები

ნინო რამიშვილს

რომ გიყვარს ცეკვა-თამაში,
ამას არ უნდა ცილობა
და მაინც არც ეს გვათცეს,
არც შენი გვარიშვილობა,
შენის ჩრდილოთით გვაკვირვებ
ზეიმის თანაზიარებს:
ქალმა რომ ფეხის ჩვრებით
მსოფლიო შემოიარე.

ნანული ზამბახიძეს

შენების საუკუნეში,
დაო, თვალისა მშვენებავ,
მნგრეველიაო, რომ მითხრეს,
შენი გაკიცხვა შენებ,
მაგრამ რა ქალი ყოფილხარ,
ნგრევით გლოდნია შენება!

ელენე ახვლედიანს

დაგვიმშვენე სცენაცა და
ალაბანიც, მისი ველიც,
დაგვანახე ბეიზაქი
ნამდვილზედაც საკვირველი.
მიიარე-მოიარე
სენას ფართო ნაპირებიც,
მაგრამ ჩვენ რა დაგიშავეთ,
რომ გვჭრი ფუნჯის რაპირებით?!

ნაზი კილასონიას

ლექსებს თხზავ და წიგნად შეკდავ,
წიგნი გყავდა დღემდე შვილად,
შენი წიგნი საქართველოს
ყველა სახლში გადაშლილა.
იბარდოს და გაიხაროს,
დაგაქებდეს შენი ჩვილი,
წიგნთან ერთად შენს მეგობრებს
დაგვენახოს შენი შვილიც.

დუშა ჩხაიძეს

გაგანოვილი ქალი ხარ,
უმრალო, ქსლისა მშეკველი,
მაგრამ სახელი გაითქვი
ვაქცეის მოსასხვეკელი.

ნატალია ბურმისტროვას

ჩრდილოეთისა ასულო,
თეატრის გულო და სულო,
ჯვლავ უფრო მაღლა გვენახე
მეშვიდე ცაზე ასული,
რომ შენთა მჭვრეტთა წაუღო
გული, გონება და სული.

— ამ მოკრივეს გამძლეობა მაკვირვებს. რამდენ დარტყმას უძლებს!

— ასეთ ცემას ბავშვობიდანვე შევეჩვიე. მის გამძლეობაში მე, როგორც მამამ. უდიდესი ღვაწლი მიმიძღვის.

ქრონიკა

გამომშვიდობება

ცოლი სოფელში მიემგზავრებოდა და შეწუხებული ეუბნებოდა ქმარს:

— უჩემოდ მარტო როგორ გაძლებ? ორ დღეში ჩამოხმები დარდით.

— ორ დღეში რათა, — მიუგო ქმარმა, — განა ასე მალე აპირებ დაბრუნებას?

თანაგრძნობა

ცოლი — ჩემო სიცოცხლეო, წელს ძალიან გადაიტვირთე მუშაობით, შვებულებაც ვერ აიღე. არ მინდა მეც შეგაწუხო. ამიტომ გადავწვიტე — მარტო წავიდე აგარაკზე.

სოფიოს სოფისტიკა

— ქალო, წელს ქათმები რატომ არ დაზარდე?

— რატომ და ბოსტანს ამოაგდებდნენ.

— ბოსტანი რატომ არ დათესე?!

— რად მინდოდა, ქათმები გააჩანაგებდნენ.

ა. ბასილაია

ჩემი მეხობელი დისერტაციას წერდა ერთი აქტუალური საკითხის შესახებ. „სად და რაგვარ ურთიერთობაში ეხმარება ახალგამოჩეკილ წიწილას ბუსუსები, ე. ი., ნაზი ბუმბული“. მან ორი, დიდი საზოგადოებრივი მნიშვნელობის აღმოჩენა მოახდინა:

1. მძაფრი სიცივეების პერიოდში წიწილა იბუზება (ბუმბული აშლილი აქვს);

2. ამ პერიოდში მისი ნებისყოფა და ხასიათი დიდ დეპრესიას განიცდის (ეს უკვე თვალებზე ეტყობა, თვალების, ე. წ., „პარპალი“).

ამ სერიოზულ აღმოჩენებს მიმდინარე ზამთრის უკანასკნელ დღეებში ორი ეპოქალური მნიშვნელობის დაკვირვება მიემატა:

1. მძაფრი სიცივეების პერიოდში ადამიანი იბუზება!

2. ამ პერიოდში მისი ნებისყოფა და ხასიათი დიდ დეპრესიას განიცდის (ეს უკვე თვალებზე ეტყობა, თვალებს, ე. წ. „ხამხამი“).



ნიჩიდის, აღამიანისა და სიცივის ურთიერთობის საკითხისათვის

თქვენ ალბათ მიხვდით, რომ აღმოჩენების და დაკვირვების მეორე წყვილი ერთი მეორეს სავსებით დაემთხვა. ეს გენიალური აღმოჩენები მოხდა პავლოვის ქუჩაზე ახალაგებულ № 3 სახლში.

ჩვენ, პავლოვის ქ. № 3 სახლის მცხოვრებლები, მეცნიერების დაუძინებელ მეცენატს, დიდად პატივცემულ „ნინაგს“ ვთხოვთ, — სიცივეში გამუდმებული კანკალის პრიორიტეტის ნიშნად, რამაც ჩვენი მეზობელი უკვდავ აღმოჩენამდე მიიყვანა, — გაუკეთოთ მემორიალური დაფა ჩვენს სახლს ასეთი წარწერით: „აქ კანკალებდნენ სიცივით მეცნიერების გულისთვის!“

ჩვენს სახლში სიცივის მომავალი აღმავლობისა და აქედან გამომდინარე მეცნიერების ბრწყინვალე განვითარების პერსპექტივებისათვის გთხოვთ აღნიშნული დისერტანტის ოპონენტებად გამოჭყოთ:

1. სახლის კომენდანტი

2. სახლის „კარეგარიის“ უფროსი.

ეს უკანასკნელი მაინც აუცილებლად, როგორც დიდად დაოსტატებული ადამიანების გაყინვის ხელოვნებაში.

დისერტაციის დაცვის შედეგს გაცნობებთ.

პარპალა ხამხამაძე

გასულ წელს რესპუბლიკაში გამოოვლინებულ იქნა დამტკიცებულ შტატებს ზევით 416 თანამდებობის შენახვა.

ნახ. დონინა

— ხომ არ იცით ის კაცი რა თანამდებობაზე მუშაობს ჩვენთან?

— უფროსს ცხვირს რომ დააცემინებს, ეტყვის — ხეირი და დიდხანს ხიცოცხლე ჩვენს სილიბისტრო ბარნაბიჩსო.

უგალთო ძამარი

დიდი ხანია რაც მე ვიცი ანდაზა «ააფრინე ალალიო, რაც არ არი, არ არიო» და ხშირადაც ვიყენებ გულის მალამოდ.

ამჯერადაც გამომადგა იგი.

ბავშვის ქამარი უნდა მეყიდა. ცოლმა დამაფინანსა და მაღაზიისაკენ გავწიე.

— ლამაზო, ბავშვის ქამარი, თუ შეიძლება. — მივმართე გამყიდველს.

— ინებეთ.

ვინებე.

ქამარს ბალთა არა ჰქონდა.

— ბალთა არა აქვს, — ვეუბნები.

— ბალთა რა არის?

— აბზინდა, უენო აბზინდა.

— აბზინდა რა არის?

— ბალთა.

— ბალთა რა არის?

— აბზინდა.

— აბზინდა რა არის?

— «პრიაჟკა».

სახე გაუნათდა, გაიგო:

— ასე გეთქვა, შე კაი კაცო, სული რომ ამომართვი! ჩემთან «უპრიაჟკოდ» იყიდება?

შევვარდი გამგისთან.

ბოლთას სცემდა კაბინეტში და არც მან იცოდა რა იყო ბალთა.

როგორც იქნა, გავაგებინე.

ბოლთის ცემა განაგრძო და ასე მიპასუხა: — უბალთოდ ვვიზანიან და უბალთოდ ვყიდით, მორჩა და გათავდა. ქამარი ჩვენთან იყიდე. ბალთა სხვაგან და ბალთიანი ქამარი გეძნებათ.

სად არ ვიკითხე, მაგრამ რა დაგკარგვია და რას ეძებ? ააფრინე ალალი!

— ბალთა მინდა.

— ბალთა რა არის?

— აბზინდა.

— აბზინდა რა არის?

— ბალთა.

და ჰა, ახლა ხელცარიელი მივდიავარ სახლში, მაგრამ ქამრის საფასური ავტობუსებითა და ტროლეიბუსებით მაღაზიიდან მაღაზიებამდე წოწიალს რომ მოვანდომე, როგორ დავაჯერო ჩემს სიმართლეში ჩემი ხელმომჭირნე ცოლი?!

მე ალთასს, რომ ვეტყვი, ის ბალთას მეტყვის!

ვაი-უშველებელს დამაწვევს.

უბალთო ქამრის ოსტატების კისერზე იყოს ჩემი ცოდვა!

მ. ძარჩავა

ნახ. გ. ფარეულავასი

— დედიკო, ეს ძია მონადრეა?!

ცრუმეცნიერთა გოდება

— რამდენი წელი ვიშრომე,
შევძარი მოელი ქვეყანა,
რომ ინდაურის კვერცხიდან
ბატები გამომეყვანა.

— მე არ ვერწმუნე სწავლულებს
და არქიელი შევძარი,
ვამტკიცებ, შარშან თბილისში
არ ჩამოსულა ცეზარი.

— თავი ვაკალი „პრობლემებს“
დამიზიანდა გული.
ძლივს დავამტკიცე: მოსწავლე
სწავლობდეს — ვალდებულია.

— მშვიდობით, მეცნიერებავ,
ნე სტირით ცოლო და შვილო,
გემშვიდობებით, წიგნებო,
გადმოსაწერად გაშლილნო.

ხმა ლიბერალი ოპონენტებისა

— ნიტერსა და უნიფის
ხოტბას ვასხამდით ყველასა,
ვით ბრმა კალოზე არ არჩევს
ხორბალს და სარეველასა.

— ჩარისხის ჩამორიგებით
ობრად ვიყარე გული.
„რასაცა ვასცემ შენია,
რაც არა, დაკარგულია“.

ი. მაკაბელი

ჩემი ოჯახი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ შემეკითხოთ, მიყვარს თუ არა იგი, ვერ გიპასუხებთ. ერთი წლის წინ კი... მუხლებზე დავეცი და განვუცხადე, რომ უმისოდ სიცოცხლე არ შემეძლო. სწრაფად გაირბინა თაფლის თვემ და...

ჩემი ცოლი სარკის წინ ზის. თმის ახალ ვარცხნილობას ეძებს.

ეს შემოქმედებითი მუშაობა 2—3 საათი გრძელდება.

არ გამიშვა რესტორანში. დღესასწაულს სახლში შევხვდეთო. დავუთმე. დამპირდა, ოჯახური იდილიის სიმშვენიერეს გაჩვენებო. ოჯახურ იდილიაზე რა მოგახსენოთ, მაგრამ თვითონ მართლაც შვენიერი გახდა ორსაათიანი მზადების შემდეგ. ამაყად შემომხედა და მითხრა:

— შეშა ამოიტანე და ბუხარში ცეცხლი დაანთეო.

ჩემმა ცოლმა ტკბილეულის გამოცხობა განიზრახა. მომეხმარეო. დავეთანხმე. იქნებ ამის გამო მაინც დავიწყებოდა ჩემს ცოლს ჩემი ზედმეტი სახელი, «ბეზდელნიკი».

თხუთმეტი წუთის შემდეგ ჩემი ცოლი სისწრაფითა და წითელი ფრჩხილებით უამრავ ქილებსა და კასრებს შორის იდგა. ათასგვარი პატარა კოლოფი, — ცილის სადღვები, ორთქლით მხარშავი, საფცქვნელი, ხილის დამწურავი, საშრობელი და გამომცხობელი, ყველაფერი იქვე ელაგა. საკმარისია ახალი რამე დაინახოს მაღაზიაში, რომ იმწამსვე იყიდოს. წინააღმდეგობა თუ გავუწიე, თვალებს გადმომიბრიალებს.

— შენ რა გესმის, დიასახლისი ხომ არა ხარო.



დიასახლისი არც ჩემი ცოლია. იგი მსახურობს, მაგრამ რატომღაც მაინც ჩემულობს დიასახლისობას და მეც ვნებდები. ხუთი საათი გაისმოდა მისი ბრძანებები:

— ფქვილი ჩამიყარე, წყალი გადაქციე, ცილა გათქვიფე, ლიმონი დაწურე, შაქარი დანაყე, ქვაბი გადმოდგი, დადგი...

ყველაფერი ეს მუსიკის ფონზე ხდებოდა ოჯახური იდილიის შექმნის მიზნით ჩართო მაგნიტოფონი. ბოლოს, მოთმინებიდან გამოსულმა, ისევ მე შემომიტია:

— ამ მუსიკამ სულ გამომაშტერა, გააჩერე ეგ წყეული მაგნიტოფონი.

როცა ნამცხვრის ცომი მაცხობელაში ჩაასვენა, მე სავარძელში ჩავესვენე, თვალები დავხუჭე.

დაუჯერებელ ფანტაზიად მეჩვენებოდა ჩვენი პირველი შეხვედრები. ნუთუ შეიძლება ქალის ასეთი გარდაქმნა? ვცდილობდი, გამეხსენებინა ის დღე, როცა ჩემი ცოლის ასეთი შეცვლა დაიწყო.

სიდედრმა სადილი გააწყო, ალერსიანად მიმიპატიჟა. «შვილო, დაიღალეო»?— თანგრძნობით შეეკითხა ჩემს ცოლს. მეზობლის ბიჭუნა მუხლებზე ამომაცოცდა და მაკოცა. ცოლმა ნამცხვარი გადმოიღო.

— უჰ, რა კარგია!—იყვირა ბიჭუნამ, წინ გაიშვირა პატარა ხელები,—მოიტა!

ჩემმა ცოლმა ჩამოჭრა ნამცხვარს და გაუწოდა ბიჭუნას. მაგრამ... ბიჭუნამ მალე დატოვა. ცოლი რატომღაც დიდი სიამოვნებით ჭამდა. მე დაკარგულ დროზე და ენერგიაზე ვფიქრობდი, არა ჯობდა საკონდიტრო მაღაზიაში მეყიდა?... მის დაჟინებულ შეკითხვაზე იძულებული ვიყავი განმეცხადებინა:

— ჰო, კარგია, გენაცვალე.

ალბათ ინტონაცია არ მოეწონა ჩემს ცოლს, ტუჩებამრეზით მითხრა: მამაკაცებს რა გესმითო.

— წამიყვანე კინოში!—წამომტიტინა მეზობლის ბიჭუნამ და პაწაწინა ხელები კისერზე მომხვია.

ჩემს ცოლს გულიანად გაეცინა. ამ სიცილში ძველი ტონები შევნიშნე, რომლებმაც შემაკრთო და რაღაც სითბო განმაცდევინა... ჩავაკვირდი ჩემი ცოლის თვალებს.

«რა მოხდება, რომ კინოში წავიდეთ? ფეხით შევყვებით ქუჩებს. ერთად ვიქნებით, ისე, როგორც ერთი წლის წინათ».

იქნებ გაიგო ჩემი აზრები, მის ნუშისმაგვარ თვალებში ჯერ გაოცება გამოიხატა, შემდეგ ხანმოკლე საყვედური. ჩემს ცოლს ღიმილმა სახე გაუცისკროვნა და... ძველებურად მითხრა თვალებით— «ჰო, წავიდეთ!»—ო.

რა უცნაურია ეს ჩემი ცოლი!

მარიამ ნუცუბიძე



— ქალბატონო რიფხიმე, რად გინდა ამდენი მაცივარი რომ გინათხოვრებიათ?

— ჩემს ქმარს დისერტაცია ჩაუვარდა და 300 კაციხათვის გამზადებული პურ-ჭარილიც გველუპება.



უტექსტო ხუმრობა რ. სარჩიმელიძისა

შინაბერა

თმაში თეთრი შემეპარა,
გულში უიმედობა,
ორმოცს გავცდი და ჯერაც
არ მეღირსა დედობა.
ბედმა ზურგი შემაქცია
მე, ბანოვანს, მზითვიანს!
ეს უმზითვო ქალები კი
შვილიშვილებს ითვლიან.
დაწყევლილმა უბედობამ
რა ჩემზე მოიცალა!
თინამ ქმარი მარტო შარშან
ხუთჯერ გამოიცვალა.
მეც კი მყავდა «კლიენტები»,
მაგრამ ბედმა დამნავსა,
ზოგი მე არ მომეწონა,
ზოგიც ჩემს დედ-მამასა.
არა, აქ თუ ვერ გაიგეს
ჩემი შნო და ღირსება,
მეც მთვარეზე ვიქორწინებ,
როცა გზა გაიხსნება.

ხ. აბაიშვილი

უეცრად ჩამოვარღნილი მგრობა

ა. მარკოვი

ამ რამდენიმე ხნის წინ დიდი უსიამოვნება ჩამოვარდა სოფელ დიცის (გორის რაიონი) სოფლის საბჭოს თავმჯდომარე შამილა მძინარაშვილსა და კოლმეურნეობის თავმჯდომარე არჩილ გორგაშელს შორის. სამუდამოდ მოიშალა ის ტკბილი ძმობა, რომელიც უთვალავი პურმარილითა და მასზე მეტი სადღეგრძელოებით იყო ჩადუღაბებული, დაიკარგა ის სიყვარული, რომელსაც ქეიფებში თვის ბოლოკივით გაჰქონდა კაშკაში... გულისმომკვლელი ისაა, რომ უსიამოვნების მიზეზი გახდა ტალახით სავსე დიცის გზები, რომელიც ორივეს არაერთხელ და ორჯერ უზელნიათ...

დიახ, სწორედ ამ ორიოდე კვირის წინ პატივცემული არჩილი სოფელ დიცის გზებზე მუხლებამდე მიაპობდა ტალახს. არც არაფერზე ცუდს ფიქრობდა და არც არაფერს ცუდს ელოდა, მაგრამ უეცრად ფეხი გაუსხლტა და საექიმო პუნქტთან შუაგზაზე საკმაო სიღრმის ორმოში ამოჰყო თავი.

— უჰ, ჩურჩხელასავით არ ამოვევლე, კაცო!..

— ოჰ,.. თავი მომიკვდეს, ქაა, ეს რა მოგსვლია!— შეიცხადა კოლმეურნე ლიზამ და დასახმარებლად გაუწოდა ხელი.

ხელი რას მიშველის, დედაკაცო... წადი. წყალი მოიტანე...

— წყალი სად არის, ქაა, განა არ იცი, რომ შენს თავმჯდომარეობაში გაყვანილი მილებიდან წყლის გამოსვლა სანატრელად გაგვიხდა...

— მაშინ საბჭოს თავმჯდომარე მომიყვანე, იქ იქნება, კანტორაში...

— არა, ქაა, იქ რა გამიყვანს, ჩვენს გზებზე ორმოებში და გუბეებში სიარულს ოჩოფეხები უნდა და ამ სიბერეში რაღა დროს ჩემი ოჩოფეხებია...

ლიზას ალბათ თავმჯდომარის მრისხანება მეხივით დაეცემოდა, რომ სწორედ იმ დროს მძინარაშვილს არ გამოევლო და არჩილის დანახვაზე თავში არ შემოერტყა ხელი.

— ვაჰ, კაცო, სიზმარია თუ ცხადი, სად ჩავარდნილხარ, რა მოგსვლია?

— რა მომსვლია და არ მუშაობ, ძმაო, არაფერს აკეთებ, გზები შენ არ გივარგა, წყალი შენ არა გაქვს...

— მერე, მე ვარ დამნაშავე?!... მთელი წელიწადი ისე გავიდა, კოლმეურნეობის გზაზე ერთი მანქანა ქვიშა არ დაუყრია... მე რა ვქნა!?

— რა და უნდა იმუშაო, საბჭოს თავმჯდომარე რისთვისა გქვია?

— მთელი კოლმეურნეობა შენს ხელთ არის და უშენოდ მე რა უნდა მექნა!

— უსაქმურობამ დაგჯაბნა... სკამზე ჯდომისაგან ობი მოგედო...

— რაო?! რაო?! ობიო?! მე ვიცი ვისაც მოედო ობი. სოფელზე არა ზრუნავ! ...ტალახში სიარულისთვის მეზობლები მეკრამიტეებს გვეძახიან...

— ასეა, არა? კარგი... ვნახოთ... ვიტყვით, მაგასაც ვიტყვით....

— თქვი, კარგად თქვი, ისე თქვი, რომ მეც რამე მათქმევინო. აქამდე მაინც პირი ხათრით მქონდა აკრული.

— ვნახოთ...

— ვნახოთ...

ასე ჩამოვარდა მტრობა ამ ორ მუშაკს შორის. შემდეგ ყაურმობაც დადგა... ხინკლობაც... ბევრი სადღეგრძელოც დაილია, ბევრი შესანდობარიც, მაგრამ კოლმეურნეობისა და საბჭოს თავმჯდომარეებს ერთად აღარ უქეიფნიათ...

ყველაფერში სოფელ დიცის ტალახია დამნაშავე, [illegible] რემც ის მომსპარა...

ვ. ქახელიშვილი



ყველას თავისი აქვს გემოვნება

იწყო ყიყინი ბაყაყთა გუნდმა,
იყო კონკურსი უკეთეს ხმაზე.
მაღალი ნოტით ბულბულმა უცბად
თქვა სიმღერები ერთ ბუჩქის თავზე.
მან გააყრუა სხივოსან ტალღით
ჭაობის ყველა მომღერლის ბგერა.
ბაყაყებს გულზე მოედოთ ალხი,
მას განცვიფრებით მიაპყრეს მზერა.
წამოიძახა პირველმა მწკრივმა:
— ვაგლახ, ნამდვილად არა აქვს საქმე!
გამოაცხადეს ბულბული გიჟად
და მისი ტკბილი გალობა დაგმეს.
— იტყვით:—ვაი მათ! მაშ, სხვა რა ითქმის!
გემოვნება აქვს ყველას თავისი.

თავისი ესთეტიკა

ღორი გვერდს ძეგლზე იფხანს ხალისით,
აქვს ესთეტიკა თავისი.

თარგმანი დ. ცაგარელისა



სურათი ავტობუსში

გადეხადა ფული,
ასლა მიღეთს ღილს,
დაიღალა დგომით,
დაიღალა ხელი.

მაგრამ ჯინდოქტორი
არც უყურებს მასა,
ამოიღებს სარკეს
[illegible] თმასა.

ტ. ვართაგავა

126
9/III

რედაქტორი—ნიკო შველიძე.

სარედაქციო კოლეგია: ა. ბელიაშვილი, ნ. დუმბაძე, ხ. კლდიაშვილი, ნ. მალაზონია, მ. ქარჩავა, ო. ჭელიძე.

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

თბილისი. სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი“. Тбилиси. Сатирико-юмористический журнал „Нианги“.
რედაქციის მისამართი: რუსთაველის გამზ. № 42. ტელეფონები: რედაქტორის—3-76-69, საერთო განყოფილების—3-10-49.

გამომც. № 5. ხელმოწ. დასაბ. 1/III-1960 წ. ქაღ. ზომა 70×108 1/8. 0,5 ნაბ. ფურც. 1,37. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 0,5. პირობით ფორმათა რაოდენობა 1, ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ. პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. 14. შეკ. № 230 უე. 00577. ტირ. 40.000

60-126

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაშინ, როცა ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხს სურს საერთაშორისო დაძაბულობის შემდგომი შენელება, „ცივი“ და „ცხელი“ ომის მომხრეები ააქტიურებენ ისეთი აგრესიული ბლოკების საქმიანობას, როგორიც არიან ნატო, სეატო და სენტო. ისინი წინანდებურადვე ცდილობენ თავისი ხახლის სახურავზე აათრიონ „ცივი ომის“ ვირი და არ ფიქრობენ იმაზე, რომ ვირს შეუძლია ჩაამტვრიოს სახურავი და ზიანი მიაყენოს თვით პატრონებს.

(ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვიდან საზეიმო სამოქალაქო დარბაზობაზე დელში)

ნახ. გ. ლომიძისა

„ცივი ომის“ მომხრეთა საქმიანობა.